

საქართველოს კანონი

“თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ” საქართველოს კანონის “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2003 წ., №29, მუხ. 209) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 4. ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეობები და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები

ამ კანონით ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობის სახეობები და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოებია:

ა) იმპორტიორის ან მწარმოებლის მიერ თამბაქოს ნაწარმის საბითუმო ვაჭრობა ერთი ობიექტიდან – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური;

ბ) სხვა პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის საბითუმო ვაჭრობა ერთი ობიექტიდან – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური;

გ) პირის მიერ თამბაქოს ნაწარმით საცალო ვაჭრობა ერთი ობიექტიდან – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადო ტერიტორიული ერთეული ;

დ) თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.“

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.